

ბატონი ასმეთაური

თეიმურაზ სირაძე

10-12 წლის წინ, ერთ-ერთ გაზეთში ვმუშაობდი. განყოფილება, რომელიც სამხედრო თემებსა და კონფლიქტებს აშუქებდა სულ სამი კაცისგან შედგებოდა და ღირსეული პიროვნება, ნამდვილი პროფესიონალი კახა კაციტაძე ხელმძღვანელობდა. სამუშაო დამლულთან ერთად სახალისოც იყო. ხშირად გვიწევდა მივლინებებით სხვადასხვა, იმ დროისთვის ცხელ წერტილში წასვლა. გარკვეული პრივილეგიებითაც ვსარგებლობდით მე და ჩემი მეწყვილე და გულში ვამაყობდით კიდევ, რომ, სუფთა კაცურ საქმეს ვემსახურებოდით. ხან პანკისში ვიყავით და ხანაც ცხინვალის მისადგომებთან. ვაზიანში, გორში, საჩხერეში და ამა თუ იმ სამხედრო ბაზაზე ლამის დღეგამოშვებით დავდიოდით რეპორტაჟების, თუ ინტერვიუების მოსამზადებლად. მოკლედ, ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ, რედაქციაში სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტები არ მოგვევლინენ პრაქტიკებზე. დარცხვენილი სტუდენტები დერეფანში იდგნენ და იქ ელოდნენ, თუ, ვის რომელ განყოფილებაში გაამწესებდნენ. რვავე გოგონა იყო და ჩვენ ყურადღებაც არ მიგვიქცევია მათთვის. ცხადი იყო, არცერთი მათგანი არ ისურვებდა ჩვენთან ერთად მაღალი ქუსლებითა და მაკიაჟით პოლიგონებზე და სამხედრო წვრთნებზე წაწალს. თურმე, ვცდებოდით... ყველას რომ თავისი ადგილი მიუჩინეს, ერთილა დარჩა და ჩვენდა გასაკვირად, მან, ჩვენი ოთახის კარი შემოაღო. "მე, სამხედრო განყოფილებაში გადავწყვიტე პრაქტიკის გავლა. თამარ მღებრიშვილი ვარ". ერიჰაა, შენი აქ გამომგზავნის დედაც..., ჩაისისინა ჩემმა მეწყვილემ (ზვიადმა). სხვა რა გზა გვქონდა, დავთანხმდით. კოლეგებმაც არაერთგზის მიგვანიშნეს, "ქალი გყავთ ბორტზე და ცუდის ნიშანიაო". მოკლედ, ასე იყო, თუ ისე, ერთმანეთს შევეწყვეთ. პოლიგონებზეც ერთად დავდიოდით, პრესკონფერენციებზეც და დროთა განმავლობაში მასწავლებელ-მოსწავლის სტატუსით ერთმანეთთან ოჯახებშიც არაერთხელ ვყოფილვართ სტუმრად. რამდენად დიდი ცოდნა გავატანეთ ჩვენგან თამარს, იმ დროისათვის, ახლა ვერ ვიტყვი, მაგრამ, მას, ჩვენგან, გაჰყვა ზედმეტსახელი "ბაღლო" და დაგვრჩა თბილი ურთიერთობა, რომელიც, დღესაც გაგრძელდებოდა, რომ არა მისი პროფესიიდან გამომდინარე მოუცლელეობა...

გავიდა გარკვეული პერიოდი. "ბაღლო" სწავლობდა და საზოგადოებრივ მაუწყებელში მუშაობდა პარალელურად. არც თუ იშვიათად გვირეკავდა, ან, მოდიოდა ხოლმე და ინტერვიუსთვის საჭირო კითხვებს, ან მზა მასალას ერთად ვამუშავებდით. გამიჭირდება მისი ლექტორების მიერ გაცემული სადიპლომო ნამუშევრის დასკვნიდან სრული ციტირება, მაგრამ, არსი ის იყო, რომ, მან ("ბაღლომ"), პირველმა, მათ შორის კაცებშიც, პირველად დაიცვა დიპლომი სამხედრო ჟურნალისტის მიმართულებით და საკმაოდ შინაარსობრივადაც.

ერთხელაც, მორიგი ზარი გაისმა და "ბალლომ" სამხედრო აკადემიაში მთხოვა გაყოლა. სიამოვნებით დავთანხმდი. შეხვედრა უზნაძის ქუჩაზე დავთქვით და მე, სავარაუდო კითხვარის მომზადებას შევუდექი ინტერვიუერისათვის და კიდევ ერთხელ შევცდი...

"ბალლო" საქალაქადე ამოჩრილი მოვიდა. - "აბა, ვის დატერორებს აპირებ დღეს და რა საკითხზე?" - შორიდანვე მივაგებე მე.

- "არც არავისი. გადავწყვიტე, აკადემიაში ჩავაბარო. მე ვიქნები პირველი ქართველი სამხედრო ქალი, რომელიც, გენერლობას მიაღწევს"... და კიდევ რაღაცეებს ლაპარაკობდა, მაგრამ, მე, აღარ მესმოდა. გონებაში გამოვთვალე იმ სავარაუდო შედეგების ვარიანტები, რაც, მე და ჩვენს (ანუ, სამხედრო) განყოფილებას მოგველოდა მისი ძმისგან, მშობლებისგან და ნათესავებისგანაც თამუნას "გარყვნისთვის" და სამხედრო მიმართულების პროპაგანდისთვის. ხმამაღლა მხოლოდ ფრთიანი კითხვა და ვუსვი - "სახლში იციან"?.. თურმე, სცოდნიათ და "ბალლომ" მისაღები გამოცდები ფრიალებზე ჩააბარა.

მოკლედ, "ბალლომ", სამხედრო აკადემიის კურსიც (კავშირგაბმულობა) წარჩინებით დაამთავრა, ოფიცრის სამხრეებიც დაიკრა მხრებზე და მოქმედ საარმიო ბრიგადაშიც ჩაირიცხა. მას მერე თითქმის ცხრა წელი გავიდა. "ბალლომ" ავღანეთიც მოიარა (8 თვიანი სამშვიდობო მისიით), წოდება და კვალიფიკაციაც აიმაღლა და სულ ახლახანს, მასზე შექმნილ დოკუმენტურ ფილმსაც ვუყურე ტელევიზიით, სადაც, იგი დაწვრილებით იხსენებს განვლილ გზას და კვლავაც გენერლობაზე ოცნებობს. კადრებში ჩანს, როგორ ეწევა სამხედრო საქმეს აწ უკვე ასმეთაური თამარ მღებრიშვილი და იქვე ამბობს: - "მერე რა, რომ, ქალი ვარ. ჯარისკაცები და ქვემდგომი ოფიცრები ბატონო ასმეთაუროთი მომმართავენ. ვატყობ, რომ, ჩემი რიდი და ხათრიც აქვთ. სულ ახლახანს კი მითხრეს, თურმე, ეშინიათ კიდევ ბიჭებს ჩემი, მაგრამ, მე არ ვთვლი, რომ, ეს, ასეა". თამარ მღებრიშვილს არც ლიდერ ქალად მიაჩნია თავი. იგი ამბობს, რომ, უბრალო, სამშობლოს რიგითი ჯარისკაცია, მაგრამ, როგორც, ოდესღაც მისი ზემდგომი, თავს უფლებას მივცემ, რომ, განვაცხადო! თამარ მღებრიშვილი, "ბალლო", ნამდვილად ლიდერი, თანაც, გამორჩეული ლიდერი ქალბატონია. მე ასე ვფიქრობ! თქვენ?